

საქართველოს კანონი

„ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის  
სავალდებულო დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის ძალადაკარგულად  
გამოცხადების თაობაზე

მუხლი 1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა  
სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შესახებ“ საქართველოს  
1997 წლის 27 ივნისის კანონი (პარლამენტის უწყებანი №33, 31.07.1997წ., გვ. 15).

მუხლი 2. ამ კანონის ამოქმედებიდან 2 თვის ვადაში საქართველოს მთავრობამ  
უზრუნველყოს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს  
სავალდებულო დაზღვევის ბიუროს (შემდგომში - ბიურო) ლიკვიდაცია.

მუხლი 3. ბიუროს კრედიტორული დავალიანებების გასტუმრება მოხდეს, მხოლოდ  
ბიუროს კუთვნილი ქონებიდან. სახელმწიფო არ წარმოადგენს აღნიშნული  
ვალდებულებების უფლებამონაცვლეს.

მუხლი 4. კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი